

პრესრელიზი

GIG მწვანე ტრანსპორტის პოპულარიზაციას იწყებს



საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი (GIG) მწვანე ტრანსპორტის პოპულარიზაციას იწყებს. კომპანიამ პირველი კორპორაციული ელექტრომობილი შეიძინა, რომელიც გარემოს დაბინძურების გარეშე უზრუნველყოფს კომფორტულ გადაადგილას. "მწვანეზე იარე და მწვანეთი იარე" - ამ ნაბიჯით უმსხვილესი ინდუსტრიული ჯგუფი ელექტრომობილების გამოყენებისკენ კოლეგა ბიზნესებსაც

მოუწოდებს. კომპანიამ სათაო ოფისთან ელექტრომობილების დასამუხტი აპარატი დაამონტაჟა. ელექტრომობილები შიგაწვის ძრავის გარეშე გადაადგილდება. არ მოიხმარს საწვავს და რაც მთავარია არ აბინძურებს გარემოს. კომპანია ზრუნავს გარემოზე და შესაბამის ინფრასტრუქტურას სთავაზობს ელექტრომობილის მფლობელ თანამშრომლებს".

კომპანია "ჯი-აი-ჯი" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

